



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 40

ქ. გარდაბანი

30/03/2022

40-06-4-202203301913



ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში მცხოვრები ტარიელ მინასაშვილის შვილის, დემეტრე მინასაშვილისთვის დახმარების გაწევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილების, 24-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 16 მარტის N18-182207545 შუამდგომლობის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოს 30000 (ოცდაათი ათასი) ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში მცხოვრები ტარიელ მინასაშვილის შვილის, დემეტრე მინასაშვილისთვის (პ/ნ _____), (დიაგნოზი: _____)

დასაფინანსებლად.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს განკარგულების პირველ მუხლში მითითებული თანხის გადარიცხვა თურქეთი/კორფეზ-ქოჯაელი, იავუზ სულთან სელიმის უბანი, მევლანას გამზ. №36/დ-ში მდებარე, შპს „ინდექს მედიკალ“ სანაჩაი ვე თიჯარეთის კომპანიის ანგარიშზე.

ბანკის ანგარიში: თურქეთი ვაქიფ ბანკი, Swift Code: TVBATR2A

USD IBAN: TR56 000 1500 1580 4801 7924 745

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

